ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი N9

სხდომის ჩატარების თარიღი და დრო: 2026 წლის 23 ივნისი, 14:00 საათი
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობა, მეორე სართულზე არსებული
საკონფერენციო დარბაზი, ოთახი N210
ქალაქი ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზ. N3.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას უძღვებოდა: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი.

ესწრებოდნენ :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობა: კომისიის თავმჯდომარე **ბესიკ ჩეჩელაშვილი.**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: გიორგი ჭიღვარია, ამირან კოპალეიშვილი, მარეხი ნიჟარაძე, ალექსანდრე თამაზაშვილი, სანდრო ნერგაძე, აკაკი გიორგაძე, მანანა ჩიხლაძე, იოსებ კუჭავა, ალექსანდრე მიქაუტაძე.

სულ : 11 წევრიდან-10 წევრი.

არ ესწრებოდა: ელეონორა არჩაია.

სულ: 1 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი ლევან კინწურაშვილი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის“ დირექტორი ზეინაბ ბურჯანაძე, არასამერწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორი მალხაზ ბასილაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა. მან აღნიშნა: მოგესალმებით, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის ივნისამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

ბატონი ლევან კინწურაშვილი
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის“ მიერ 2026 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ.

ქალბატონი ზეინაბ ბურჯანაძე
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
,,ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის“ დირექტორი

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ მიერ 2026 წლის წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ.

ბატონი მალხაზ ბასილაძე
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქუთგანათების სერვისის“ დირექტორი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბ. ჩეჩელაშვილმა:

დღეს ვატარებთ მორიგ სხდომას, დღის წესრიგის თანახმად, პირველი საკითხი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის ივნისამდე გაწეული მუშაობის შესახებ. დეტალური ინფორმაციისთვის სიტყვას გადავცემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ დირექტორს ლევან კინწურაშვილს.

მოისმინეს: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ დირექტორის ლევან კინწურაშვილის მოხსენება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ (შემდგომ – ინსპექცია) მიერ 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის ივნისამდე პერიოდში ჯამში განხილული და პასუხგაცემული იქნა 2912 კორესპონდენცია (მათ შორის: მოქალაქეთა განცხადებები, სხვადასხვა სამსახურიდან და უწყებებიდან შემოსული წერილები).

კანცელარიის მეშვეობით დარეგისტრირებულ იქნა 897 განცხადება (მათ შორის სასამართლოს გზავნილები); ელექტრონული განცხადებების პორტალის მეშვეობით ატვირთულ იქნა 683 ელექტრონული განცხადება; დარეგისტრირებულ იქნა 1046 წერილი; მომზადდა 3837 წერილობითი პასუხი; 900 ბრძანება; 212 დადგენილება. ცხელ ხაზზე შემოსული ზარების რაოდენობაა 1107; გაცემულია 25 საჯარო ინფორმაცია.

სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილება:

მშენებარე ობიექტების გადამოწმების მიზნით, განხილულ იქნა სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურიდან შემოსული 309 წერილი;

გამოიცა 113 დადგენილება, მათ შორის: 62 დადგენილება სანებართვო პირობების დარღვევის გამოვლენის ფაქტზე და 38 დადგენილება უნებართვო მშენებლობის გამოვლენის ფაქტზე;

ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 77 შენობა;

სამშენებლო ეტაპის ჩაბარების მოთხოვნით განხილულ იქნა 222 განცხადება;

სამშენებლო სამართალდარღვევებიდან 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის ივნისამდე პერიოდამდე ბიუჯეტში შემოსულია 432 630 ლარი.

მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილება:

1. ავტომობილები:

2025 წლისა და 2026 წლის ივნისამდე პერიოდში ავტომობილების დგომა–გაჩერების დადგენილი წესის დარღვევისათვის შედგენილი ჯარიმა – 790 ერთეული; დაკისრებული თანხა – 32310 ლარი; შემოსული თანხა – 36 563 ლარი.

2. აკუსტიკური ხმაური:

შემოწმებული ობიექტი – 12 ერთეული (სამართალდარღვევის ფაქტი არ დაფიქსირებულა).

სანებართვო პირობების დაცვისა და საექსპლოატაციო ობიექტების ზედამხედველობის განყოფილება:

1. დასუფთავება:

დასუფთავების მოსაკრებლის 2025 წლის ბიუჯეტი 4 200 000 ლარი, შემოსული თანხა 3 971 549,62 ლარი; 2026 წლის ბიუჯეტი 4 200 000 ლარი, იანვრიდან ივნისამდე შემოსული თანხა 1 653 504,75 ლარი.

სასამართლოში დასუფთავების მოსაკრებლის გადაუხდელობის გამო გაგზავნილია 23 სარჩელი.

შედგა 5 შეთანხმება დავალიანების დაფარვის თაობაზე.

სასამართლოში წინა წლებში გაგზავნილ საქმეზე გაფორმდა 6 მორიგება, 11 შუამდგომლობა სარჩელის უკან გამოხმობასთან დაკავშირებით, ვინაიდან, სრულად მოხდა დავალიანების დაფარვა, 2 შემთხვევაში დაეკისრა გადახდა; თანხის იძულებით ამოღების მიზნით, აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადაგზავნილია 5 სააღსრულებო ფურცელი.

2. პირუტყვის დაკავებაზე დაწერილი ოქმები:

დაჯარიმდა 48 ფიზიკური პირი; დაიწერა 64 საჯარიმო ოქმი; ა.ს.კ. 148 მუხლის მე–3 ნაწილით შედგა 41 ოქმი (8650 ლარი), ა.ს.კ. 148 მუხლის მე–4 ნაწილით შედგა 23 ოქმი (3500 ლარი), ჯამში 13150 ლარი. ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევასთან დაკავშირებით ა.ს.კ. 103 მუხლის მე–2 ნაწილითა და ა.ს.კ. 103 მუხლის მე–3 ნაწილით შედგა 8 ოქმი. სულ ჯამი 1404 ლარი.

3. ტრანსპორტი

2025 წლის ტრანსპორტის ნებართვის საფასურის ბიუჯეტი 285 000 ლარი, შემოსული თანხა 289 206 ლარი; 2026 წლის ტრანსპორტის ნებართვის საფასურის ბიუჯეტი 285 000 ლარი, შემოსული თანხა 118 160 ლარი.

ჯამში შემოსულმა თანხამ შეადგინა 407 366 ლარი.

სანებართვო პირობების დარღვევის ფაქტზე დაიწერა 7 ადმინისტრაციული ჯარიმა (700 ლარი).

4. მუნიციპალიტეტის ქონების დაზიანება

დაფიქსირდა მუნიციპალური ქონების დაზიანების 19 შემთხვევა; 1 შემთხვევაში ვერ მოხერხდა ბრალეული მძღოლის გამოვლენა; 2 შემთხვევაში ბრალეულმა მძღოლმა აღადგინა დაზიანებული მონაკვეთი სრულად; 3 შემთხვევაში მიმდინარეობს საქმისწარმოება ზარალის ანაზღაურებესთან დაკავშირებით; 1 შემთხვევაში მიყენებული ზარალის იძულებით ამოღების მიზნით სააღსრულებო ფურცელი გადაგზავნილია აღსრულების ბიუროში; 12 შემთხვევაში ბრალეული

მძღოლის მიერ სრულად მოხდა მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

5. ზედამხედველობის განყოფილება

2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (მუნიციპალიტეტის ქონების იჯარა) შემოსავლის გეგმა სამსახურს განესაზღვრა 700 000 ლარით.

2025 წელს მუნიციპალური ქონებიდან იჯარით შემოსულმა თანხამ შეადგინა 724 790,58 ლარი.

2025 წელს გარე რეკლამის განთავსების იჯარიდან და გარე ვაჭრობის უფლების საფასურიდან ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 142 269 ლარი.

სულ 2025 წელს ბიუჯეტში შემოვიდა 867 059,58 ლარი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარის გეგმა შეადგენს 120 000 ლარს. ბიუჯეტში 2025 წელს შემოსული თანხა შეადგენს 110593 ლარს.

2025 წელს ქუჩის სამუშაოს საწარმოებლად გაცემულია 157 ნებართვა

2025 წელს შევათანხმეთ საგზაო მოძრაობის ორგანიზების 59 სქემა.

2025 წელს შედგენილია 104 საჯარიმო ქვითარი. მათ შორის:

1. სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის დაკავებისათვის შედგენილია 9 ქვითარი.

2. საზოგადოებრივი ადგილების თვითნებური შეზღუდვისათვის შედგენილია 12 ქვითარი

3. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯებისათვის 5 ოქმი

4. გზის საფარის თვითნებური გაჭრისათვის შედგენილია 7 ქვითარი.

5. გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევასა და რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის შედგენილია 9 ქვითარი .

6. სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობისათვის შედგენილია 2 ოქმი.

7. ამტვერებადი მასალის გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალებით ან/და არასათანადოდ გადახურული სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვისათვის შედგენილია 59 ქვითარი.

8. ვანდალიზმის ფაქტზე შედგენილია 1 ოქმი.

სულ ჯარიმით დაკისრებული თანხა შეადგენს 91300 ლარს. ბიუჯეტში შემოსულია 93532.98 ლარი.

სულ განყოფილების საქმიანობის შედეგად ბიუჯეტში შემოსულია 1071184 ლარი.

2026 წლების დამტკიცებული ბიუჯეტით არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (მუნიციპალიტეტის ქონების იჯარა) შემოსავლის გეგმა სამსახურს განესაზღვრა 700000 ლარი, აქედან:

ქონების იჯარიდან შემოსული თანხები 2026 წლის 01 იანვრიდან 01 ივნისამდე შეადგენს 141 884,22 ლარს;

გარე რეკლამის იჯარებიდან შემოსული თანხები 2026 წლის 01 იანვრიდან 01 ივნისამდე შეადგენს 4455 ლარს;

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარის გეგმა შეადგენს 120000 ლარს, აქედან:

მიწის იჯარიდან შემოსული თანხები 2026 წლის 01 იანვრიდან 01 ივნისამდე შეადგენს 11 755ლარს.

2026 წლის 1 ივნისამდე ზედამხედველობის განყოფილების მიერ შედგენილია 80 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მათ შორის:

1.სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის დაკავებისათვის შედგენილია 4 ოქმი;

2. საზოგადოებრივი ადგილების თვითნებური შეზღუდვისათვის შედგენილია 6 ოქმი;

3. იერსახის თვითნებური შეცვლისათვის შედგენილია 3 ოქმი;

4. გზის საფარის თვითნებურად გაჭრისათვის შედგენილია 6 ოქმი;

6. გარე რეკლამის სანებართვო პირობების დარღვევისათვის, უნებართვო გარე რეკლამის და რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის შედგენილია 11 ოქმი;

7. ამტვერებადი მასალის გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალებით ან/და არასათანადოდ გადახურული სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვისათვის შედგენილია 34 ოქმი;

8. ძირგაურეცხავი ან/და საბურავგაურეცხავი სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებისათვის 6 ოქმი;

9. ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრისათვის შედგენილია 5 ოქმი;

10. სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გარეშე ან სქემის დარღვევით წარმოებისათვის შედგენილია 2 ოქმი;

11. სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობისათვის შედგენილია 6 ოქმი;

12. ვანდალიზმის ფაქტზე შედგენილია 1 ოქმი.

დაკისრებული ჯარიმის ჯამი შეადგენს 175 000 ლარს. შემოსულია 121 328.18 ლარი.

ჯამში განყოფილების საქმიანობის შედეგად ბიუჯეტში შემოსულია 279 422,4 ლარი.

6. ეკოლოგიისა და ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის ზედამხედველობის განყოფილება:

2025 და 2026 წლის ივნისამდე პერიოდში განხილული იქნა 720 წერილი;

ხეების გადაბელვაზე გაიცა 133 თანხმობა;

ხეების სხვლა-ფორმირებაზე გაიცა 186 თანხმობა;

გამხმარი ხეების მოჭრაზე გაიცა 179 თანხმობა;

87 უარი ხეების მოჭრის, სხვლა-ფორმირებისა და გადაბელვით სამუშაოებთან დაკავშირებით;

57 ინფორმაციული შინაარსის წერილი;

გამხმარი ტოტების მოჭრაზე გაიცა 125 თანხმობა.

7. ობიექტების დაცვის, სწრაფი რეაგირებისა და გარე ვაჭრობის კონტროლის ზედამხედველობის განყოფილება:

2025 და 2026 წლის ივნისამდე პერიოდში, უნებართვოდ განხორციელებული გარე ვაჭრობის ფაქტზე, ჯამში შედგენილი იქნა 91 ოქმი. მათ შორის:

75 ოქმი - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 1533 მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს დაჯარიმებას 20 ლარით (ჯამში 1500 ლარი);

12 ოქმი - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 1533 მუხლის მესამე ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს დაჯარიმებას 100 ლარით (ჯამში 1200 ლარი);

4 ოქმი - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 1533 მუხლის მეოთხე ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს დაჯარიმებას 500 ლარით (ჯამში 2000 ლარი).

სულ განყოფილების მიერ დაწერილია 4 700 ლარის ჯარიმა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს

კომისიის წევრი ი. კუჭავა: მოსაკრებლის ჯამი რამდენია?

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი ლ. კინწურაშვილი: მოსაკრებლის ჯამი 4 200 ათასი ლარს შეადგენს.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: დღეს წარმოდგენილი კვარტალური მონაცემებიდან გამომდინარე, რომელ მიმართულებაზე გაქვთ ყველაზე მაღალი აქტივობა?

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი ლ. კინწურაშვილი: მუშაობა სტაბილურად მიმდინარეობს. ამასთანავე, ტექნიკურად აღვადგინეთ ერთ-ერთი სერვისი, რომლის საშუალებითაც გადასახადის შესახებ ინფორმაცია მოქალაქეს SMS-შეტყობინების სახით ეგზავნება. ასევე მიმდინარეობს აღრიცხვიანობა და მონაცემთა ბაზების განახლება, მათ შორის ცვლილებების შეტანა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მონაცემებში. შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობს მონაცემთა ბაზებზე მუშაობა.

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ერთეული ახორციელებს პასპორტიზაციას, ხოლო თქვენ მიერ ხდება სულადობის მონაცემების კორექტირება. სულადობის შესახებ ინფორმაციას ვინ ამზადებს?

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი ლ. კინწურაშვილი: აღნიშნულ ინფორმაციას, მოქალაქის მიმართვის საფუძველზე, ამზადებს და გასცემს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეული. ასევე მსურს დავამატო, რომ ჯარიმების ოდენობის გაზრდის შედეგად, დღესდღეობით ქუთაისში დაახლოებით 60%-ით შემცირებულია ტროტუარზე ავტომობილების დგომა-გაჩერების შემთხვევები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც ეტლით მოსარგებლეთა, ისე ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებას.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: ზონალურ საათობრივ პარკირებასთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა? მიმდინარეობს თუ არა ამ მიმართულებით მუშაობა?

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი ლ. კინწურაშვილი: აღნიშნული საკითხი ჩვენი კომპეტენცია არ არის, თუმცა ა(ა)იპი „პარკინგ სერვისის“ ხელმძღვანელთან ერთად განვიხილეთ აღნიშნული საკითხი და შესაბამისი სამუშაოების დაწყება უახლოეს პერიოდში იგეგმება.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: თქვენს სამსახურში ფუნქციონირებს სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის განყოფილება. წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჩაბარების მიზნით განხილულ იქნა 222 განცხადება, ხოლო ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 77 შენობა. აქ ხომ არის კორელაცია? 222 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 77? სწორად მესმის?

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი ლ. კინწურაშვილი: მოკლედ გეტყვით, აქ იგულისხმება მშენებლობის პროცესში თითოეული სართულის ჩაბარების ეტაპები.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: შრომის უსაფრთხოების შემოწმების ნაწილში თქვენი სამსახური მონაწილეობს?

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი ლ. კინწურაშვილი: არა, შრომის უსაფრთხოების კონტროლი შრომის ინსპექციის ფუნქციაა.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: ანუ უსაფრთხოების მიმართულებით არ შედიხართ და მხოლოდ სანებართვო პირობებთან შესაბამისობას ამოწმებთ? აკუსტიკური ხმაურის მიმართულებით რა მდგომარეობაა? ქალაქში ასეთი პრობლემები ფიქსირდება?

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი ლ. კინწურაშვილი: აკუსტიკური ხმაურის შესამოწმებლად შესაბამისი ტექნიკური საშუალებები გაგვაჩნია. შემოსული შეტყობინებების საფუძველზე 12 ობიექტზე განხორციელდა გასვლა და არც ერთ შემთხვევაში ხმაურის დონე დასაშვებ ნორმას არ აღემატებოდა.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების საკითხი მაინტერესებს იურიდიულ პირებთან დაკავშირებით, რამდენად ახერხებთ დავალიანების ამოღებას?

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი ლ. კინწურაშვილი: იურიდიულ პირებთან და ინდივიდუალურ მეწარმეებთან ყოველთვიური სატელეფონო კომუნიკაცია გვაქვს. ქოლცენტრის მეშვეობით ვუკავშირდებით მათ და ვახსენებთ არსებული დავალიანების შესახებ. გარდა ამისა, იგზავნება SMS-შეტყობინებებიც. დავალიანების ამოღება, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს გზით ხდება — ვამზადებთ სარჩელს და მივმართავთ სასამართლოს.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: ობიექტების დაცვის, სწრაფი რეაგირებისა და გარე ვაჭრობის ზედამხედველობის განყოფილების ანგარიშში მითითებულია, რომ შედგენილია 18 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. რა პროცედურები უძღვის წინ ოქმის შედგენას?

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი ლ. კინწურაშვილი: თავდაპირველად ხდება სიტყვიერი გაფრთხილება, შემდეგ — წერილობითი გაფრთხილება და

მხოლოდ ამის შემდეგ, დარღვევის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, დგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: არასრულწლოვნის მიერ ვანდალიზმის ჩადენის შემთხვევაში როგორ მოქმედებთ?

ა(ა)იპ „მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი ლ. კინწურაშვილი: არასრულწლოვნის მიერ ვანდალიზმის ჩადენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი დგება მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა აღნიშნა:

თუ დამატებითი შეკითხვები არ არის, გადავიდეთ კენჭისყრაზე. კენჭი ვუყაროთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე — 10

მოწინააღმდეგე — 0

თავი შეიკავა — 0

დადგინდა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის ივნისამდე გაწეული მუშაობის შესახებ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის თანახმად მეორე საკითხი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის“ მიერ 2026 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ.

მოისმინეს: მოგესალმებით, ჩემთვის დიდი პატივია, ვხელმძღვანელობდე ისეთ დაწესებულებას, რომელიც თავისი მრავალწლიანი საქმიანობითა და მაღალი პროფესიული დონით საქართველოს მასშტაბით არის ცნობილი. ამ წარმატების მთავარი საფუძველი ის ადამიანები არიან, რომლებიც დღეს ფოლკლორის ცენტრში საქმიანობენ და ყოველდღიური შრომით ხელს უწყობენ ქართული ფოლკლორის შენარჩუნებასა და განვითარებას. ფოლკლორის ცენტრში დასაქმებულია ადმინისტრაციული, შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალი. ადმინისტრაციაში დასაქმებულია 5 თანამშრომელი. თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ანსამბლი, ხოლო სტუდიები, რომელთა ბაზაზეც ჩამოყალიბდა სახელმწიფო ანსამბლი, საქმიანობას საკუთარი შემოსავლებით უზრუნველყოფენ.

მიმდინარე წლის 28 აპრილს გაიმართა ცეკვისა და სიმღერის აკადემიური ანსამბლის კონცერტი, რომელიც მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება იყო. მსურდა, საკრებულოს ყველა წევრს პირადად ეხილა ჩვენი კოლექტივის საქმიანობის შედეგი – ქართული ფოლკლორი, რომელიც ერთდროულად ინარჩუნებს ტრადიციებს და თანამედროვე ხედვით ვითარდება. 2025 წელს ცენტრის ბიუჯეტი შეადგენდა 1 865,0 ათას ლარს, ხოლო 2026 წლისთვის განსაზღვრულია 1 980,0 ათასი ლარი. ბიუჯეტის ზრდა, ძირითადად, სახელფასო ფონდის მატებით არის განპირობებული. მინდა აღვნიშნო, რომ ბიუჯეტის თითოეული ლარი მიზნობრივად და ეფექტიანად იხარჯება. ჩვენი საქმიანობის მთავარი მიმართულებაა შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება. ამ მიზნით, ცოტა ხნის წინ გამოცხადებული ტენდერის შედეგად შევიძინეთ თანამედროვე, მაღალი ხარისხის გახმოვანების აპარატურა. წინა ხაზის სისტემა უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ჟღერადობას როგორც მოცეკვავეებისთვის, ისე მაყურებლისთვის, ხოლო უკანა ხაზის სისტემა ქმნის შესაბამის აკუსტიკურ პირობებს მუსიკოსებისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია სასცენო კოსტიუმების განახლება. შესაბამისად, მუდმივად ვზრუნავთ როგორც ახალი საცეკვაო ფორმების შეძენაზე, ისე არსებული, კარგად შემონახული კოსტიუმების აღდგენასა და მოდერნიზებაზე. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფოლკლორის ცენტრის შენობის რეაბილიტაციას, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. ეს შენობა არა მხოლოდ ინფრასტრუქტურული ობიექტია, არამედ ჩვენი კულტურული საქმიანობის მნიშვნელოვანი სივრცეა, ამიტომ მაქსიმალური ყურადღებით ვადევნებ თვალს თითოეულ ეტაპს. ასევე მსურს ყურადღება გავამახვილო სამივლინებო ხარჯების საკითხზე. მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია ამ მიმართულებით ცალკე საბიუჯეტო მუხლის არსებობა, რადგან სხვადასხვა ფესტივალსა და კონკურსში მონაწილეობა დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან. ამ მხრივ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბათუმის სახელმწიფო ანსამბლი, რომლის ბიუჯეტშიც სამივლინებო ხარჯები ცალკე არის გათვალისწინებული. ნებისმიერ ფესტივალსა თუ კონკურსზე ჩვენი მონაწილეობა წარმოადგენს როგორც ქალაქ ქუთაისის, ისე ქართული კულტურის ღირსეულ წარდგენას. ამის ნათელი მაგალითია ჩვენი ანსამბლის მიერ შესრულებული ებრაული ცეკვა სატელევიზიო პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“, რომელმაც მაყურებლისა და სპეციალისტების მაღალი შეფასება და ფართო გამოხმაურება დაიმსახურა.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ ფოლკლორის ცენტრი მომავალშიც გააგრძელებს ქართული ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციას, ახალგაზრდა თაობის აღზრდას ეროვნულ ფასეულობებზე და იმ მაღალი სტანდარტის შენარჩუნებას, რომელიც წლების განმავლობაში ჩვენი საქმიანობის სავიზიტო ბარათად იქცა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: რას გულისხმობთ სამივლინებო ხარჯების საკითხთან დაკავშირებით ანუ გაგეზარდათ თუ შეგიმცირდათ აღნიშნული ხარჯები?

ა(ა)იპი „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის“ დირექტორი ზ. ბურჯანაძე: ცოტა ხნის წინ გაიმართა სუხიშვილების ერთ-ერთი წევრის საიუბილეო საღამო, რომელზეც ჩვენი ანსამბლის წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეულნი. ასევე მივიღეთ მონაწილეობა სატელევიზიო კონკურსში „ცეკვავენ ვარსკვლავები“, რისთვისაც დაფინანსდა სამივლინებო ხარჯები. ამასთანავე, ანსამბლის პოპულარიზაციის მიზნით, სურვილი მაქვს გადავიღოთ სარეკლამო ვიდეორგოლი. მიმდინარე წლის 2 ივლისს ჩვენი ანსამბლი მიემგზავრება უნგრეთში, კერძოდ, ბუდაპეშტში. აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალური წერილობითი შეტყობინება მივიღეთ, რომლის თანახმადაც, მსოფლიოში გრანტის მფლობელი ათი მომღერალთა გუნდის შორის ჩვენი ანსამბლიც შედის. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო გახდა სხვა საბიუჯეტო მუხლიდან თანხის გადმოტანა, რათა სამივლინებო ხარჯების დაფინანსება გაზრდილიყო. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ვსაუბრობ.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: სამივლინებო მუხლში გეგმიური ხარჯი ქვეყნის გარეთ მითითებულია 57 ათასი და ალბათ ამ თანხა არის საუბარი?

ა(ა)იპი „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის“ დირექტორი ზ. ბურჯანაძე: აღნიშნული თანხა არაფინანსური აქტივებიდან არის გადმოტანილი.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: რამდენი ადამიანი მიემგზავრება?

ა(ა)იპი „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის“ დირექტორი ზ. ბურჯანაძე: 14 (თოთხმეტი) ადამიანი.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: წლის განმავლობაში რამდენი კონცერტის ჩატარებას ახერხებთ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ? ასევე, როგორია ამ მიმართულებით თქვენი ბოლო წლების სტატისტიკა?

ა(ა)იპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის“ დირექტორი ზ. ბურჯანაძე: საზღვარგარეთ წლის განმავლობაში, საშუალოდ, ორ კონცერტს ვმართავთ.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: გარდერობის საკითხი როგორ არის მოწესრიგებული?

ა(ა)იპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის“ დირექტორი ზ. ბურჯანაძე: წლების განმავლობაში საკმაოდ დიდი რაოდენობის სასცენო სამოსი დაგვიგროვდა. სწორედ ამიტომ მიმდინარეობს შენობის ნაწილის რეაბილიტაცია, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, შესაბამისი პირობების დაცვით მოვაწყოთ სივრცე, დავალაგოთ და სათანადოდ შევინახოთ ჩვენი სასცენო კოსტიუმები.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: თქვენი ანსამბლის წევრის ყოველთვიური ხელფასი რამდენს შეადგენს?

ა(ა)იპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის“ დირექტორი ზ. ბურჯანაძე: მოხარული ვარ, რომ შემიძლია ეს ციფრი დავასახელო, რადგან ჩემი ძალისხმევისა და ბრძოლის შედეგია. ამჟამად ანსამბლის წევრის დარიცხული ყოველთვიური ხელფასი 1 460 ლარს შეადგენს, გარდა ამისა, ისინი თავიანთ საქმეში იმდენად პროფესიონალები და განვითარებულები არიან, რომ თითოეულ მათგანს საკუთარი სტუდია აქვს, სადაც ახალ თაობას ზრდიან და პროფესიულ გამოცდილებას უზიარებენ.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა აღნიშნა:

თუ დამატებითი შეკითხვები არ არის, გადავიდეთ კენჭისყრაზე. კენჭი ვუყაროთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის“ მიერ 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე — 10

მოწინააღმდეგე — 0

თავი შეიკავა — 0

დადგინდა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის“ ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის ივნისამდე გაწეული მუშაობის შესახებ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის თანახმად მესამე საკითხი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ მიერ 2026 წლის წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ.

დეტალური ინფორმაციისთვის სიტყვას გადავცემ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორს მალხაზ ბასილაძეს.

მოისმინეს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორის მალხაზ ბასილაძის მოხსენება: ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი“-ს დაფინანსებამ 2025 წლის დასაწყისში შეადგინა 4 427 000 ლარი. აღნიშნული თანხიდან 2 480 303 ლარი, გარე განათების სისტემების მიერ წლის განმავლობაში მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯისათვის იყო გათვალისწინებული და დაიხარჯა 2 237 896 ლარი. ასევე 878 500 ლარი შეადგინა თანამშრომლების შრომითმა ანაზღაურებამ და დაიხარჯა 867 980 ლარი. 72 438 ლარს შეადგენს შადრევნებისა და სასმელი წყლის ნიჟარების მიერ მოხმარებული წყლის ხარჯი.

დანარჩენი თანხა დაიხარჯა საქონელი და მომსახურების მუხლით. აღნიშნული ხარჯების საფუძველზე ქალაქის ტერიტორიაზე ეტაპობრივად მიმდინარეობს დაზიანებული და ძველი დარჩენილი ნატრიუმის შემცველი სანათების ჩანაცვლება ახალი დიოდური LED ტიპის სანათებით (ქუჩების პარამეტრებიდან გამომდინარე 150 ვტ და 250 ვტ სანათები ჩანაცვლდა შესაბამისად 90 ვტ და 120 ვტ სანათებით) რომელმაც შესაბამისად მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯი შეამცირა ქუჩების განათებულობისა და სიკაშკაშის პარამეტრების შეუცვლელად. აღნიშნული სანათებით განათებულია ქალაქის ქუჩების 99%, დარჩენილის ჩანაცვლება მიმდინარეობს ეტაპობრივად, რომელიც 2026 წლისათვის ბოლოსათვის სრულად იქნება განხორციელებული. სულ დამატებულია და ჩანაცვლებულია 90 ვტ სანათი 986 ცალი, ხოლო 120 ვტ სანათი 142 ცალი. 2025 წლის პერიოდში მოსახლეობის თხოვნისა და ტერიტორიის საჭიროებიდან გამომდენარე დამონტაჟდა 89 ცალამდე ახალი ანძა დიოდური სანათით და მოეწყო დამატებით 50 ცალი ბრჯენი (კრონშტეინი) სანათით. ასევე განხორციელდა 4000 მეტრი დაზიანებული 2x25 ალუმინის თვითმზიდი იზოლირებური სადენის შეცვლა ახლით აღსანიშნავია ასევე რომ ამ პერიოდის განმავლობაში დამონტაჟდა და შეიცვალა 19 ცალი 63 ამპერიანი ავტომატური ამომრთველი, 107 ცალი 100 ამპერიანი ავტომატური ამომრთველი, 120 ცალი 95 ამპერიანი კონტაქტორი, 3207 მეტრი ალუმინის 2x2.5 გამშვები სადენი, სკვერების რეაბილიტციებზე დამონტაჟდა 3700 მეტრი სპილენძის 2x1.5 და 2200 მეტრი სპილენძის 2x2.5 სადენი. შეიცვალა 18 ცალი ფასადის მინათების 150 ვატიანი ლედ სანათი, შეიცვალა 15 ცალი მეტალო ჰალოგენის 150 ვატიანი ნათურა, დამონტაჟდა 36 ცალი 10 ამპერიანი ფოტორელე, გაიხარჯა 665 ცალი საიზოლიო ლენტი, 5 მეტრი გოფრირებული მილი, ქალაქის ტერიტორიაზე რიგ ქუჩებზე გაივლო ერთ და ორ კონტურიანი ღერძულა ხაზი, დაიხაზა ზებრა გადასასვლელები, ავტობუსის გაჩერებები, ავტომობილების პარკირების ადგილები. სულ საგზაო მონიშვნისათვის დაიხარჯა 10 600 კგ-მდე თეთრი საღებავი, 2 045 კგ. ყვითელი საღებავი, 67,5 კგ ვერცხლისფერი საღებავი. რიგ ქუჩებზე აღდგა დაზიანებული 40 ცალი და დამონტაჟდა ახალი 30 ცალი საგზაო ნიშნები ასევე პერიოდულად მიმდინარეობს დაზიანებული შუქნიშნების ნაწილების აღდგენა, სატრანსპორტო საშუალებების და ქვეითების უსაბრთხო მოძრაობისათვის. 2026 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 4 690 000 ლარი. მათ შორის ხელფასის ფონდმა შეადგინა 1 023 050 ლარი, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლმა შეადგინა 3 250 400 ლარი, ამ თანხიდან 2 518 480 ლარი გათვალისწინებულია მოხმარებული ელ. ენერგიის გადასახადისათვის. დღეის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი"-ს მიერ განხორციელებულია შემდეგი ძირითადი შესყიდვა:

- სანათები სატენდერო ფასი 298900,00 ლარი სახელშეკრულებო ფასი 167088,00 ლარი შპს „ზს“;
- სადენები სატენდერო ფასი 18970,00 ლარი სახელშეკრულებო ფასი 15940,00 ლარი შპს „ელვარე“;
- ამწე კალათა სატენდერო ფასი 274274,00 ლარი სახელშეკრულებო ფასი 233600,00 ლარი შპს „თეგეტა ქომერშელ ვიიქლს“;

- ჯანმრთელობის დაზღვევა: სატენდერო ფასი 55932,00 ლარი სახელშეკრულებო ფასი 55932,00 ლარი შპს „არდი“;

- წყლის ტუმბოები: სატენდერო ფასი 43500,00 ლარი სახელშეკრულებო ფასი 43000,00 ლარი შპს „გლობალ საპლაიერი“;

- ლედ ნათურები: სატენდერო ფასი 12800,00 ლარი სახელშეკრულებო ფასი 7800,00 ლარი ი.მ „ირაკლი პარკაძე“;

- ავტომატური ამომრთველები: სატენდერო ფასი 18370,00 ლარი სახელშეკრულებო ფასი 12480,00 ლარი შპს „თორნიკე“;

- საქართველოს დროშა: სატენდერო ფასი 7080,00 ლარი სახელშეკრულებო ფასი 6269,00 ლარი შპს „ბოსმეტალი“;

- თეტრი საღებავი: სატენდერო ფასი 129977,00 ლარი სახელშეკრულებო ფასი 88000,00 ლარი შპს „ჯორჯიან აუდიტ ჯგუფი“; - შერჩევა/შეფასება.

- საგზაო ნიშნები: სატენდერო ფასი 38243,00 ლარი სახელშეკრულებო ფასი 31270,00 ლარი შპს „ტრაფიკი“; - მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება;

- სამუსაო ჟილეტი: სატენდერო ფასი 2800,00 ლარი სახელშეკრულებო ფასი 1890,00 ლარი შპს „თერძი“; - მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება;

- ლითონის მილები: სატენდერო ფასი 20688,00 ლარი სახელშეკრულებო ფასი 20415,00 ლარი შპს „ფოლადის სალი“; - მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება;

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: რამდენი თანამშრომელი გყავთ? რამდენია შტატში და რამდენი — შტატგარეშე? ტექნიკას თუ ქირაობთ?

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორი მ. ბასილაძე: გვყავს 56 თანამშრომელი, მაგრამ შტატგარეშე თანამშრომლებიც არ გვყავს. ტექნიკას ვქირაობთ მხოლოდ საახალწლო ნაძვის ხისა და ქალაქის სადღესასწაულო განათების მოწყობისთვის. ამ მიზნით ვიყენებთ სამ ამწე-კალათას. გასულ წელს შესყიდვა გამარტივებული წესით განვახორციელეთ, რადგან შესყიდვის ღირებულება 10 000 ლარს არ აღემატებოდა. წელს უკვე ტენდერი გამოვაცხადეთ. სავარაუდოდ, ამ რაოდენობის

ტექნიკის დაქირავება აღარ დაგვჭირდება, რადგან სპეციალური სერვისების სამსახურმა შეიძინა 22-მეტრიანი ამწე, ხოლო მიმდინარე თვის ბოლოს ჩვენც შევიძენთ 16-მეტრიან ამწე-კალათას.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: არაფინანსური აქტივების ნაწილში რა თანხაა გათვალისწინებული? რას მოიცავს იგი, გარდა ტექნიკის შეძენისა?

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორი მ. ბასილაძე: არაფინანსური აქტივების ნაწილში გათვალისწინებულია ასევე საგზაო ნიშნების შეძენა, რადგან აღნიშნული ნიშნები ქალაქის ქონებას წარმოადგენს.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: საღებავის ხარისხთან დაკავშირებით რას გვეტყვით? ხომ არ შეგიცვლიათ?

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორი მ. ბასილაძე: არა, საღებავის ხარისხი იგივე დარჩა.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: განათების საკითხსაც შევეხები და დავაზუსტებ. თქვენ აღნიშნეთ, რომ 250-ვატიანი სანათები 120-ვატიანით შეიცვალა, თუმცა განათების ხარისხი არ შეცვლილა. ასეა?

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორი მ. ბასილაძე: დიახ. რეალურად მივიღეთ უფრო ეფექტური ყვითელი ფერის LED სანათები, რომლებიც დიოდური ტექნოლოგიით არის აწყობილი.

კომისიის წევრი ალ. მიქაუტაძე: არის თუ არა ქალაქში ისეთი ქუჩა ან ჩიხი, სადაც განათება არ არის მოწყობილი და მოსახლეობა ამ მოთხოვნით მოგმართავთ?

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორი მ. ბასილაძე: სრულად განათების გარეშე დარჩენილი ქუჩები არ არის. თუმცა შესაძლოა, არსებობდეს ჩიხების ცალკეული მონაკვეთები, სადაც დამატებითი განათების ბოძების მოწყობაა საჭირო.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა აღნიშნა:

თუ დამატებითი შეკითხვები არ არის, გადავიდეთ კენჭისყრაზე. კენჭი ვუყაროთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ მიერ 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე — 10

მოწინააღმდეგე — 0

თავი შეიკავა — 0

დადგინდა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ მიერ 2026 წლის წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ცბობად იქნა მიღებული.

ამით კომისიამ სხდომა დაასრულა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი